სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 010502/10/183-2
ხელშეკრულება

ქ. თბილისი 07 ივნისი 2012 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერის მოადგილის ტარიელ ხიზანეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გრანიტი", (შემდგომში – მიმწოდებელი) მისი დირექტორის ზურაბ ბურკაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი I. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, პ. ბაგრატიონის ქუჩა N48-50-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობის, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობის, მნათობის ქუჩა N19-19ა-21-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის, ბაგრატიონის ქუჩა N28-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის, მნათობის ქუჩა N33-35-37-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის III პუნქტის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად (2012 წლის 15 მაისის 10-18/4136 წერილი).
1.2.ხელშეკრულების ობიექტია:
1.2.1 ქ. თბილისში, პ. ბაგრატიონის ქუჩა N48-50-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობა;
1.2.2 ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობა;
1.2.3 ქ. თბილისში, მნათობის ქუჩა N19-19ა-21-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა;
1.2.4 ქ. თბილისში, ბაგრატიონის ქუჩა N28-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა;
1.2.5 ქ. თბილისში, მნათობის ქუჩა N33-35-37-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა;
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 45262620.

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური მომსახურების სააგენტო
რეგისტრირებულია
ხელშეკრულების № .....
ნომენკლატურის № 653
რეგისტრაციის თარიღი: 4 / 7 / 2012
ხელმოწერა: .....

მუხლი II. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება:
2.2.1 ქ. თბილისში, პ. ბაგრატიონის ქუჩა #48-50-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობა - **159 158,98** (ასორმოცდაცხრამეტი ათას ასორმოცდათვრამეტი ლარი და 98 თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.2.2 ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა #117-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობა - **36 340,53** (ორმოცდათერთმეტი ათას რვაასორმოცდაექვსი ლარი და 08 თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.2.3 ქ. თბილისში, მნათობის ქუჩა N19-19ა-21-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა - **236 486,48** (ორასოცდათექვსმეტი ათას ოთხასოთხმოცდაექვსი ლარი და 48 თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.2.4 ქ. თბილისში, ბაგრატიონის ქუჩა N28-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა - **51 944,41** (ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაასორმოცდაოთხი ლარი და 41 თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.2.5 ქ. თბილისში, მნათობის ქუჩა N33-35-37-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა - **133 993,94** (ასოცდაცამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცამეტი ლარი და 94 თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **617 924,34** (ექვსასჩვიდმეტი ათას ცხრაასოცდაოთხი ლარი და 34 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.4. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.5 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოთა მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით.

მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

მუხლი IV. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
4.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
4.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.4. მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატიურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;
4.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში აღნიშნული პირები.
4.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

მუხლი V. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:
5.1.1 ქ. თბილისში, პ. ბაგრატიონის ქუჩა N48-50-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 15 სექტემბერი;
5.1.2 ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 15 ივლისი;
5.1.3 ქ. თბილისში, მნათობის ქუჩა N19-19ა-21-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 30 სექტემბერი;
5.1.4 ქ. თბილისში, ბაგრატიონის ქუჩა N28-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა- ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 10 აგვისტო;
5.1.5 ქ. თბილისში, მნათობის ქუჩა N33-35-37-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 20 სექტემბერი;
5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, პ. ბაგრატიონის ქუჩა #48-50, ჩეჩელაშვილის ქუჩა #117, მნათობის ქუჩა N19-19ა-21, ბაგრატიონის ქუჩა N28, მნათობის ქუჩა N33-35-37 .

მუხლი VI. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

მუხლი VII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2 სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.
7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:
ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელ(ებ)ი.
7.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
7.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი VIII. ანგარიშსწორება

8.1.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება 2012 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
8.2.მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
8.3.შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
8.4. ანაზღაურების ადგილი ქ. თბილისი.

მუხლი IX. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

მუხლი X. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი XI. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.
11.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
11.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

მუხლი XII. სუბკონტრაქტორები

12.1ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
12.2ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
12.3ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი XIII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი XIV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

14.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
14.2 შემსყიდველი ვალდებულია:
14.2.1დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
14.2.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
14.2.3ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.2.4წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
14.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
14.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
14.3.2 განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.
14.3.3ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;
14.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
14.4.1დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
14.4.2სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;
14.4.3სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
14.4.4სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.
14.4.5მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
14.4.6მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
14.4.7ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.
14.4.8. სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;
14.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
14.5.1მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

მუხლი XV. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
15.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი XVI. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

16.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16.2შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

16.3ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 მე-16 მუხლის 16.1 და 16.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

მუხლი XVII. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

17.1იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

17.2. "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის 9 ბრძანების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

17.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

17.4 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას.

17.5 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.

17.6მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

მუხლი XVIII. ფორს-მაჟორი

18.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
18.2ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
18.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
18.4თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

მუხლი XIX. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
19.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი XX. გამოყენებული სამართალი

20.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი XXI. შეტყობინება

21.1ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
21.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში

შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი XXII. გადასახადები და დაბეგვრა

22.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

მუხლი XXIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი XXIV. სხვა პირობები

24.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
24.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
24.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
24.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
24.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მუხლი XXIV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის მერია	შპს „გრანიტ“
----------	----------
ტარიელ ხიზანეიშვილი მერის მოადგილე	ზურაბ ბურკაძე დირექტორი
ქ. თბილისის მერია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. 7 სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: **LBRTGE22** საიდ. კოდი: 204521794 ა/ა: **GE95LB0125152101627000**	შპს „გრანიტი“ ქ. თბილისი, კედიას ქ. #4 სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: **BAGAGE22** საიდ. კოდი: 201 955 223 ა/ა: **GE07BG0000000124270100**

ქ.თბილისში, მნათობის ქ. №19-19ა-21 გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა
(რთულ და შეზღუდულ პირობებში)

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	№21-ში არსებ. მიშენებული ოთახის დაშლა (შემდგომი აღდგენით)				
	ა) თუნუქის სახურავის მოხსნა	$მ^2$	30,00	0,50	15,00
	ბ) კედლის დაშლა ხელით	$მ^3$	10,00	25,00	250,00
	გ) ხის იატაკის დაშლა	$მ^2$	27,00	2,00	54,00
	დ) ბეტონის ფუნდამენტის მონგრევა ხელით	$მ^3$	1,40	25,00	35,00
2	დაშლილი ოთახის აღდგენა				
	ა) ბეტონის ფუნდამენტის მოწყობა B-22,5	$მ^3$	1,40	245,00	343,00
	ბ) არმატურა A-III კლ.	ტნ	0,14	1400,00	196,00
	გ) კედლების აშენება წვრილი ბლოკით, სისქით 20 სმ	$მ^3$	10,00	120,00	1200,00
	დ) კედლების ლესვა	$მ^2$	110,00	8,00	880,00
	ე) ხის იატაკის მოწყობა	$მ^2$	27,00	45,00	1215,00
	ვ) თუნუქის სახურავის მოწყობა (ხის კონსტრუქციების ჩათვლით)	$მ^2$	30,00	50,00	1500,00
	ზ) ხის კარ-ფანჯრების მოწყობა	$მ^2$	5,40	120,00	648,00
3	№21-ში ოთახის ნაწილობრივი დაშლა (შემდგომი აღდგენით)				
	ა) პლასტმასის კარების მოხსნა	ც	1,00	10,00	10,00
	ბ) ფანჯრის მოხსნა ჩარჩოთი	$მ^2$	3,00	5,00	15,00
	გ) აგურის კედლის დანგრევა	$მ^3$	0,50	25,00	12,50
4	ნაწილობრივად დაშლილი ოთახის აღდგენა				
	ა) აგურის კედლის აღდგენა	$მ^3$	0,50	120,00	60,00
	ბ) ფანჯრის მოწყობა	$მ^2$	3,00	120,00	360,00
	გ) პლასტმასის კარების მოწყობა	ც	1,00	360,00	360,00
5	დაშლილი ბეტონის ზიდვა ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) 35 მ-მდე მანძილზე და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე	$მ^3$	11,90	21,00	249,90
6	დაშლილი ბეტონის გატანა 20 კმ-მდე მანძილზე ავტოთვითმცლელებით 11,9მ3X2ტნ=23,8 ტნ	ტნ	23,80	10,00	238,00
7	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით მისასვლელი გზის მოსაწყობად	$მ^3$	125,00	3,50	437,50
8	ჩამოშლილი მიწის გადმოტანა მექანიზმებით	$მ^3$	390,00	3,50	1365,00
9	ქვაბულის დამუშაევბა III კატ. გრუნტში ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში)	$მ^3$	122,00	20,00	2440,00
10	ფერდის დამუშაევბა გამაგრებით (III კატ. გრუნტში) ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში)	$მ^3$	196,00	25,00	4900,00
11	გრუნტის გატანა ხელით 35მ-მდე მანძილზე და თვითმცლელებზე დატვირთვა (122+196)*1,28=407 მ3	$მ^3$	407,00	21,00	8547,00
12	გრუნტის დატეირთვა ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე 125+390=515 მ3	$მ^3$	515,00	3,50	1802,50
13	გრუნტის გატანა ავტოთვითმცლელებით ნაყარში 20 კმ-მდე მანძილზე (515+407)/1,44=1332,5ტნ	ტნ	1332,50	10,00	13325,00
14	ბეტონის კედლის დანგრევა ხელით	$მ^3$	4,60	25,00	115,00
15	საპირფარეშოსა და არსებული კედლის დაშლა,, ბეტონის ძირის დანგრევა ხელით	$მ^3$	1,50	25,00	31.0
16	დაშლილი ბეტონის ზიდვა ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) 35მ-მდე მანძილზე და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე	$მ^3$	6,10	21,00	128,10
17	დაშლილი ბეტონის გატანა 20 კმ-მდე მანძილზე აეტოთვითმცლელებით 6,1მ3X2ტნ=12,2ტნ	ტნ	12,20	10,00	122,00
18	გადაჭრილი ხის ძირების ამოძირკვა	ც	4,00	40,00	160,00

19	ქვაბულის ფერდის გამაგრება ხის ფარებით	$მ^2$	50,00	30,00	1500,00
20	ხის ხარაჩოების მოწყობა	$მ^2$	70,00	20,00	1400,00
21	არსებულ ქვის კედელში ხვრელების მოწყობა სადრენაჟო მილების ჩასაწყობად	ც	6,00	10,00	60,00
22	**რკინა-ბეტონის კონტრფორსული კედლის მოწყობა**				
	ა) ღორღის საფუძვლის მოწყობა ფუნდამენტის ქვეშ	$მ^3$	4,30	35,00	150,50
	ბ) კონტრფორსული საყრდენი კედლის მოწყობა B22,5	$მ^3$	178,00	255,00	45390,00
	გ) AIII კლასის არმატურა	ტ	6,30	1400,00	8820,00
	დ) რკ.ბეტონის გადახურვის ფილის მოწყობა B22,5	$მ^3$	1,70	255,00	433,50
	ე) AIII კლასის არმატურა	ტ	0,12	1400,00	168,00
23	**მონოლითური ბეტონის კედლის მოწყობა**				
	ა) ღორღის საფუძვლის მოწყობა ფუნდამენტის ქვეშ	$მ^3$	1,00	35,00	35,00
	ბ) კედლის ფუნდამენტის ბეტონი B20 მარკის	$მ^3$	28,50	225,00	6412,50
	გ) კედლის ტანის ბეტონი B20 მარკის	$მ^3$	41,40	245,00	10143,00
24	ჩამკეტი კედლის მოწყობა B20 მონოლითური ბეტონით	$მ^3$	5,40	245,00	1323,00
25	ჰიდროიზოლაცია ცხელი ბიტუმით	$მ^2$	235,00	6,00	1410,00
26	საყრდენი კედლის უკან დრენაჟის მოწყობა	გრძ/მ	42,00	40,00	1680,00
27	პლასტმასის მილის მოწყობა F100მმ	გრძ/მ	14,50	10,00	145,00
28	ბალასტის შემოტანა აეტოთვითმცლელებით, 20 კმ მანძილიდან	$მ^3$	520,00	30,00	15600,00
29	ბალასტის მიზიდვა ხელით 35 მ-მდე მანძილზე, აზიდვა ხელის საწევარით რთულ და შეზღუდულ პირობებში, კედლის უკან ჩაყრა და დატკეპვნა	$მ^3$	520,00	48,00	24960,00
30	სამშენებლო ნაგვის გატანა 20კმ-ზე ნაყარში	ტ	5,00	10,00	50,00
	ჯამი				**160664,00**
	ზედნადები ხარჯები - 10 %	10%			16066,40
	ჯამი				176730,40
	გეგმიური დაგროვება - 8 %	8%			14138,43
	ჯამი				190868,83
	გაუთვალისწინებელი ხარჯები - 5 %	5%			9543,44
	ჯამი				200412,27
	დ.ღ.გ. - 18 %	18%			36074,21
	სულ				**236486,48**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ხიზანეიშვილი
მერის მოადგილე

შ.პ.ს "გრანიტი"

ბურაბ ბურკაძე
დირექტორი

ქ.თბილისში, ბაგრატიონის ქ. №28 გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა
(რთულ და შეზღუდულ პირობებში)

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	არსებული აგურის კედლისა და საპირფარეშოს დაშლა	$მ^3$	1,50	25,00	37,50
2	დაშლილი ბეტონის ზიდვა ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) 35მ-მდე მანძილზე და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე	$მ^3$	1,50	21,00	31,50
3	დაშლილი ბეტონის გატანა 20 კმ-მდე მანძილზე ავტოთვითმცლელებით 1,5მ3X2ტნ=3ტნ	ტნ	3,00	10,00	30,00
4	ქვაბულის დამუშავება III კატ. გრუნტში ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) გამაგრებით	$მ^3$	30,00	20,00	600,00
5	ფერდის დამუშავება III კატ. გრუნტში ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) გამაგრებით	$მ^3$	35,00	25,00	875,00
6	გრუნტის გამოტანა ხელით 35მ მანძილზე, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე (30+35)*1,28=83,2 მ3	$მ^3$	83,20	21,00	1747,20
7	გრუნტის გატანა ავტოთვითმცლელებით ნაყარში 20 კმ-მდე მანძილზე (30+35)*1,85=120,2ტნ	ტნ	120,20	10,00	1202,00
8	ქვაბულის ფერდის გამაგრება ხის ფარებით	$მ^2$	40,00	30,00	1200,00
9	ხის ხარაჩოების მოწყობა	$მ^2$	40,00	20,00	800,00
10	**რკინა-ბეტონის კედლის მოწყობა**				
	ა) ღორღის მოსამზადებელი ფენა	$მ^2$	2,00	35,00	70,00
	ბ) ფუნდამენტის ბეტონი B22,5	$მ^3$	31,70	245,00	7766,50
	გ) ტანის ბეტონი B22,5	$მ^3$	40,80	255,00	10404,00
	დ) განმტვირთავი ფილა B22,5	$მ^3$	3,30	255,00	841,50
	ე) ტორსული კედელი B22,5	$მ^3$	0,45	255,00	114,75
	– AIII კლასის არმატურა	ტ	4,50	1400,00	6300,00
11	პლასტმასის მილის მოწყობა F100მმ	გრძ/მ	5,00	10,00	50,00
12	ბალასტის შემოტანა 20 კმ მანძილიდან	$მ^3$	46,00	30,00	1380,00
13	ბალასტის მიზიდვა ხელით 60 მ-მდე მანძილზე რთულ და შეზღუდულ პირობებში, კედლის უკან ჩაყრა და დატკეპნა	$მ^3$	46,00	40,00	1840,00
	ჯამი				**35289,95**
	ზედნადები ხარჯები – 10 %	10%			3529,00
	ჯამი				38818,95
	გეგმიური დაგროვება – 8 %	8%			3105,52
	ჯამი				41924,46
	გაუთვალისწინებელი ხარჯები – 5 %	5%			2096,22
	ჯამი				44020,68
	დ.ღ.გ. – 18 %	18%			7923,72
	სულ				**51944,41**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ხიზანეიშვილი
მერის მოადგილე

შ.პ.ს "გრანიტი"

ზურაბ ბურკაძე
დირექტორი

ქ.თბილისში, მნათობის ქ. №33-35-37 გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა
(რთულ და შეზღუდულ პირობებში)

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	არსებული ბლოკის კედლის დაშლა ხელით	$მ^3$	3,80	25,00	95,00
2	ბეტონის კედლის დაშლა ხელით სამტვრევი ჩაქუჩების გამოყენებით	$მ^3$	2,50	25,00	62,50
3	დაშლილი ბეტონის ზიდვა ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) 35მ-მდე მანძილზე და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე	$მ^3$	6,30	21,00	132,30
4	დაშლილი ბეტონის გატანა 20 კმ-მდე მანძილზე ავტოთვითმცლელებით 6,383X2ტნ=12,6ტნ	ტნ	12,60	10,00	126,00
5	ქვაბულის დამუშავება III კატ. გრუნტში, ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში)	$მ^3$	61,00	20,00	1220,00
6	ფერდის დამუშავება გამაგრებით (III კატ. გრუნტში) ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში)	$მ^3$	342,00	25,00	8550,00
7	გრუნტის გამოტანა ხელით 35მ მანძილზე, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე (61+342)*1,28=515,8 მ3	$მ^3$	515,80	21,00	10831,80
8	გრუნტის გატანა ავტოთვითმცლელებით ნაყარში 20 კმ-მდე მანძილზე (61+342)*1,85=745,5ტნ	ტნ	745,50	10,00	7455,00
9	ქვაბულის ფერდის გამაგრება ხის ფარებით	$მ^3$	50,00	30,00	1500,00
10	ხის ხარაჩოების მოწყობა	$მ^3$	50,00	20,00	1000,00
11	**რკინა-ბეტონის კედლის მოწყობა**				
	ა) ღორღის მოსამზადებელი ფენა სისქით 10სმ	$მ^3$	4,20	35,00	147,00
	ბ) ფუნდამენტის ბეტონი B22,5	$მ^3$	66,80	245,00	16366,00
	გ) ტანის ბეტონი B22,5	$მ^3$	57,40	255,00	14637,00
	დ) არმატურა AIII კლასის	ტ	5,40	1400,00	7560,00
12	**არსებული კედლის გამაგრება**				
	ა) ღორღის მოსამზადებელი ფენა სისქით 10სმ	$მ^3$	0,26	35,00	9,10
	ბ) კედლის დაანკერება (არმატურის ღეროების ჩაცემენტებით)	ც	100,00	4,00	400,00
	გ) არმატურა AI კლასის	ტ	0,60	1450,00	870,00
	დ) არმატურა AIII კლასის	ტ	0,12	1400,00	168,00
	ე) ბეტონი B22,5	$მ^3$	4,20	255,00	1071,00
	ვ) საყრდენი კედლის შემოსაგოზი ჰიდროიზ. ცხელი ბიტუმით 2-ჯერ	$მ^2$	162,00	6,00	972,00
13	საყრდენი კედლის უკან დრენაჟის მოწყობა	გრძ/მ	31,00	40,00	1240,00
14	პლასტმასის მილის მოწყობა F100მმ	გრძ/მ	9,00	10,00	90,00
15	ბალასტის შემოტანა ავტოთვითმცლელებით, 20 კმ მანძილიდან	$მ^3$	220,00	30,00	6600,00
16	ბალასტის მიზიდვა ხელით 35მ-მდე მანძილზე, აზიდვა ხელის საწეველარით რთულ და შეზღუდულ პირობებში, კედლის უკან ჩაყრა და დატკეპნა	$მ^3$	220,00	45,00	9900,00
17	სამშენებლო ნაგვის გატანა ნაყარში 20 კმ-ზე	ტ	3,00	10,00	30,00
	ჯამი				**91032,70**
	ზედნადები ხარჯები - 10 %	10%			9103,27
	ჯამი				100135,97
	გეგმიური დაგროვება - 8 %	8%			8010,88
	ჯამი				108146,85
	გაუთვალისწინებელი ხარჯები - 5 %	5%			5407,34
	ჯამი				113554,19
	დ.ღ.გ. - 18 %	18%			20439,75
	სულ				**133993,94**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ხიზანეიშვილი
მერის მოადგილე

შ.პ.ს "გრანიტი"

ზურაბ ბურკაძე
დირექტორი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, პ.ბაგრატიონის ქ. №48-50 საყრდენი კედლის მოწყობა

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
	1. წინასწარი და მიწის სამუშაოები				
1	სამშენებლო მოედნის შემოღობვა ლითონის მავთულბადით	$მ^2$	45,00	10,00	450,00
2	ტერიტორიის გაწმენდა ბუჩქნარისაგან	$მ^2$	60,00	1,00	60,00
3	მიწის ფერდის დამუშავება ხელით რთულ და შეზღ. პირობებში	$მ^3$	293,00	25,00	7325,00
4	ქვაბულში გრუნტის დამუშავება ხელით	$მ^3$	80,00	20,00	1600,00
5	არსებული ბეტონის საყრდენი კედლის ნაწილის მონგრევა სანგრევი ჩაქუჩებით	$მ^3$	2,50	25,00	62,50
6	დაშლილი ბეტონის ზიდვა ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) 40მ-მდე მანძილზე და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე	$მ^3$	2,50	22,00	55,00
7	დაშლილი ბეტონის გატანა 20 კმ-მდე მანძილზე ავტოთვითმცლელებით 2,5მ3X2=5ტნ	ტნ	5,00	10,00	50,00
8	დამუშავებული გრუნტის გამოტანა ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) 40მ-მდე მანძილზე და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე (293+80)X1,28=477,40	$მ^3$	477,40	22,00	10502,80
9	გრუნტის გატანა ავტოთვითმცლელით 20 კმ-მდე მანძილზე 373მ3X1,85=690ტნ	ტნ	690,00	10,00	6900,00
	2. ახალი საყრდენი კედლის მოწყობა (რთულ და შეზღუდულ პირობებში)				
1	ღორღის საფუძვლის მოწყობა (რთულ და შეზღ. პირობებში) h=10სმ	$მ^3$	3,30	35,00	115,50
2	საყრდენი კედლის ფუნდამენტის მოწყობა მ-250	$მ^3$	76,00	225,00	17100,00
	არმატურის ბადე AIII	ტ	0,28	1400,00	386,40
3	საყრდენი კედლის ტანის მოწყობა, მ-250	$მ^3$	41,00	245,00	10045,00
	არმატურის ბადე AIII	ტ	0,52	1400,00	733,60
4	კედლის ბოლოში ჩამკეტი ბეტონის მოწყობა მ-250	$მ^3$	8,00	245,00	1960,00
	არმატურის ბადე AIII	ტ	0,15	1400,00	210,00
5	საყრდენი კედლის ხის ხარაჩოს მოწყობა (ერთჯერადი გამოყენება)	$მ^3$	3,50	600,00	2100,00
6	საყრდენი კედლის უკან წასაცხები ჰიდროიზოლაციის მოწყობა	$მ^2$	88,00	6,00	528,00
7	საყრდენი კედლის უკან დრენაჟის მოწყობა თიხისა და ბალასტის 60მ-მდე გადაადგილებით რთულ და შეზღუდულ პირობებში	გრძ.მ	12,00	50,00	600,00
	პლასტმასის სადრენაჟე მილების მოწყობა დ-150	გრძ.მ	6,00	12,00	72,00
8	კარიერიდან ბალასტის შემოზიდვა კედლის უკანა მხარის ბალასტით შევსებისათვის	$მ^3$	168,00	35,00	5880,00
9	მასალების (ბალასტი) მიტანა ხელით 60 მ-მდე გადაადგილებით რთულ და შეზღუდულ პირობებში	$მ^3$	168,00	26,00	4368,00
	3. არსებულ საყრდენი კედელზე რ/ბ-ის პარაპეტის მოწყობა				
1	არსებული საყრდენი კედლის თავზე ბურღილების მოწყობა Φ=30მმ, h=35 მ	ცალი	118,00	3,00	354,00
2	ბურღილებში არმატურის ღეროების ჩამაგრება და რკ/ბეტონის პარაპეტის მოწყობა ბეტონით მ-250 (შეზღუდულ პირობებში)	$მ^3$	7,00	250,00	1750,00
	არმატურის ბადე AIII	ტ	0,44	1400,00	616,00
3	კედლის დასაწყისში ჩამკეტი ბეტონის მოწყობა ბეტონით მ-250	$მ^3$	4,00	245,00	980,00
	არმატურის ბადე AIII	ტ	0,24	1400,00	336,00

	4. ფეხმავლის ბილიკის აღდგენა				
1	კარიერიდან ბალასტის შემოზიდვა არსებული და ახალი საყრდენი კედლის თავზე ყრილის მოწყობისათვის	$მ^3$	408,70	35,00	14304,50
2	მასალების (ბალასტი) მიტანა ხელით 60 მ-მდე გადაადგილებით რთულ და შეზღუდულ პირობებში	$მ^3$	408,70	26,00	10626,20
3	მოაჯირის ფუნდამენტის მოწყობა ხელით დამზადებული ბეტონით მ-250	$მ^3$	9,00	230,00	2070,00
	ჩასატანებელი დეტალების დამზადება და მონტაჟი	ცალი	27,00	10,00	270,00
4	ლითონის მოაჯირის (რთული) დამზადება მილკვადრატებით და მონტაჟი (შეზღუდულ პირობებში)	გრძ.მ	27,00	60,00	1620,00
5	ლითონკონსტრუქციების გაწმენდა და შეღებვა	გრძ.მ	27,00	8,00	216,00
6	ყრილის ფერდის გამაგრება ხელით დამზადებული ბეტონით, h=10სმ მ-250	$მ^3$	11,00	230,00	2530,00
	არმატურა დ-10მმ AIII	ტ	0,68	1400,00	947,80
7	ღორღის ფენის მოწყობა (რთულ და შეზღ. პირობებში) h=10სმ	$მ^3$	11,00	35,00	385,00
	ჯამი				**108109,30**
	ზედნადები ხარჯები (10%)	10%			10810,93
	ჯამი				118920,23
	გეგმიური დაგროვება (8%)	8%			9513,62
	ჯამი				128433,85
	გაუთვალისწინებელი ხარჯები (5%)	5%			6421,69
	ჯამი				134855,54
	დ.ღ.გ. (18%)	18%			24274,00
	ჯამი				**159129,54**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ნიკოლაიშვილი
ქ. თბილისის მერის მოადგილე

შპს "გრანიტი"

ზურაბ ბურკაძე
დირექტორი

ქ. თბილისი, ჩეჩელაშვილის ქ. №117 საყრდენი კედლის მოწყობა

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	არსებული დაზიანებული მონაკვეთის ბეტონის კედლის, საძირკვლების და ბეტონის კიბის ნაწილის დაშლა ხელით სამტვრევი ჩაქუჩების გამოყენებით	$მ^3$	4,80	25,00	120,00
2	დაშლილი ბეტონის ზიდვა ხელით (რთულ და შეზღუდულ პირობებში) 30მ-მდე მანძილზე და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე	$მ^3$	4,80	20,00	96,00
3	დაშლილი ბეტონის გატანა 20 კმ-მდე მანძილზე ავტოთვითმცლელებით 2მ3X2ტნ=4ტნ	ტნ	9,60	10,00	96,00
4	III-კატ. გრუნტის დამუშავება ხელით კედლის მოსაწყობად რთულ და შეზღუდულ პირობებში	$მ^3$	86,00	25,00	2150,00
5	გრუნტი გამოტანა ხელით 30მ-მდე მანძილზე რთულ და შეზღუდულ პირობებში და დატვირთვა ხელით ავტოთვითმცლელზე 86მ3X1,28=110 მ3	$მ^3$	110,00	20,00	2200,00
6	გრუნტის გატანა 20 კმ-მდე მანძილზე ავტოთვითმცლელებით 86მ3X1,85ტნ=159,10ტნ	ტნ	159,10	10,00	1591,00
7	ქვიშა-ხრეშის საფუძვლის მოწყობა კედლის ქვეშ	$მ^3$	2,30	35,00	80,50
8	ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა მ-250	$მ^3$	36,00	245,00	8820,00
9	საყრდენი კედლის ხის ხარაჩოს მოწყობა	$მ^3$	2,00	600,00	1200,00
10	გრუნტის შემოტანა ავტოთვითმცლელებით უკუჩაყრისათვის	$მ^3$	37,00	15,00	555,00
11	გრუნტის უკუჩაყრა ხელით (დრენაჟის ქვეშ), 30 მ გადაადგილებით	$მ^3$	37,00	20,00	740,00
12	საყრდენი კედლის უკან დრენაჟის მოწყობა	გრძ.მ	12,70	50,00	635,00
13	პლასტმასის სადრენაჟე მილების მოწყობა დ-100მმ	გრძ.მ	5,50	8,00	44,00
14	ბალასტის შემოზიდვა კედლის უკანა მხარის შევსებისათვის	$მ^3$	40,00	35,00	1400,00
15	ბალასტის მიტანა ხელით 30 მ-მდე გადაადგილებით და კედლის უკან შევსება	$მ^3$	40,00	20,00	800,00
16	საყრდენი კედლის უკან შესაგოზი ჰიდროიზოლაციის მოწყობა	მ2	70,00	6,00	420,00
	არსებული კედლების გამაგრება				
1	კედლების დაანკერება (არმატურის ღეროების ჩაცემენტებით)	ც	19,00	4,00	76,00
2	ქვიშა-ხრეშის საფუძვლის მოწყობა	$მ^3$	0,50	35,00	17,50
3	კედლის გამაგრების მოწყობა ბეტონით, მ-250	$მ^3$	10,80	245,00	2646,00
4	არმატურა AI-AIII	ტნ	0,23	1400,00	322,00
5	ლითონის ბადის მოწყობა კედლის თავზე (ლითონის დგარებით)	მ2	24,00	10,00	240,00
6	ბეტონის კიბის აღდგენა, მონოლითური ბეტონით	$მ^3$	2,00	220,00	440,00
	ჯამი				**24689,00**

	ხელფასები ხარჯები - 10 %	10%			2468,90
	ჯამი				27157,90
	გეგმიური დაგროვება - 8 %	8%			2172,63
	ჯამი				29330,53
	გაუთვალისწინებელი ხარჯები - 5 %	5%			1466,53
	ჯამი				30797,06
	დ.ღ.გ. - 18 %	18%			5543,47
	ჯამი				**36340,53**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ხიხანიშვილი
ქ. თბილისის მერის მოადგილე

შპს "გრაფიტი"

ზურაბ ბურკაძე
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 07 ივნისი, 2012 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისში, პ. ბაგრატიონის ქუჩა N48-50-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობის, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში მდებარე საყრდენი კედლის მოწყობის, მნათობის ქუჩა N19-19ა-21-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის, ბაგრატიონის ქუჩა N28-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის, მნათობის ქუჩა N33-35-37-ში მდებარე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქ. თბილისის მერის მოადგილე

ტარიელ ხიზანეიშვილი -

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი

ალექსი თაბუაშვილი -

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ილია ათანასოვი -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი

გიორგი ყოჩიაშვილი -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ლევან ჩალაძე -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

პავლე ხაჩიძე –

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექ. ზედამხედველი

გიორგი გოგია –